ცნობის ფურცელი

№ 2010 ოთხშაბათი, 11 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2010

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს **„მოამბე“**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

წარმოდგენა 22. ტელეფონი 617

✦ საბენეფისო წარმოდგენა ✦

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1902 წელს

ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ბნი **ტასო აბაშიძის** და ბ-ნი **ი. კარგარეთლის** მონაწილეობით

I

მუზმუზელა

(ტარტიუფი)

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჩაბარიანისა

II

მექალისი იტალიელებით

ოპერეტი, 1 მოქმედ. მუზიკა ოფენბახისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

ორკესტრი ნ. გ. **ქართველიშვილის** ლოტბარობით.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 **საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად **„გრიგალი“**, **„ხიმ-ხიხამრი“** **„აწინდელი ოჯახი“** და სხ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ზედგენიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. ზედგენიძე, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. გ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

საავადმყოფოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყწნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

საზღვარ-გარედ

ვენეცუელა. ვენეცუელა*) სამხრეთ-ამერიკის ერთი რესპუბლიკაა, რომელიც წინეთ, როგორც სხვა ეხლანდელი რესპუბლიკები სამხრეთ-ამერიკისა, ესპანიას ეკუთვნოდა. ყველაზე ადრე ვენეცუელამ განითავისუფლა თავი ესპანიელების უღლიდან (1810). ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლის შემდეგ 1821 წელს ამერიკის ამ ნაწილში დაარსდა დიდი ფედერატიული რესპუბლიკა, მაგრამ დიდხანს არ გაუძლია; იგი სამ ნაწილად გაიყო: თვითონ ვენეცუელა, ახალი გრანადა და ეკვადორი. 1846 წლამდე ვენეცუელის რესპუბლიკას შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონდა და ხალხის კეთილ-დღეობაც დღითი დღე იზრდებოდა. ამ წლიდან-კი დაიწყო დაუსრულებელი რევოლიუციები, რომელიც ასე ხშირია სამხრეთ-ამერიკის ყველა რესპუბლიკებში, და რესპუბლიკაც ძლიერ დაზარალდა.

ვენეცუელაში სამ მილიონამდე მცხოვრებია. აქ სამი ტომის ხალხი სცხოვრობს—ინდოელი, კავკასიის ტომის (ესპანიელი და სხვა ევროპიელი) და ეთიოპიელი (აფრიკელი). მცხოვრებთა მეტი წილი მულატი და სამბოსია (ზანგის და ინდოელის ნარევი). წმინდა ზანგის სისხლის არავინ დარჩენილა; ინდოელები კი დარჩნენ, მაგრამ ბევრი არა. 1856 წლიდან ვენეცუელაში მონობა სრულებით მოისპო. თითქმის მთელი ხალხი მარტო ესპანიურად ლაპარაკობს. სარწმუნოებით კათოლიკენი არიან.

რესპუბლიკა ფედერატიულია—იგი შესდგება რამდენიმე შტატისაგან. ყოველ შტატში თავისი პრეზიდენტი, სენატი, პალატა, სასამართლო და ბიუჯეტია. ფედერაციის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებაა კონგრესი (27 სენატორი) და დეპუტატებს ირჩევს მთელი ხალხი (საყოველთაო ფარული არჩევანი). კონგრესი ირჩევს თითო სენატორსა და თითო დეპუტატს ყოველ შტატისათვის და ეს არჩეულები შეადგენენ „კავშირის საბჭოს“. ეს „საბჭო“ ირჩევს თავის წრიდან პრეზიდენტს ორის წლის ვადით და ეს არის ვენეცუელის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი. პრეზიდენტი და სამინისტრო რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი დაწესებულებაა, რომლის მოქმედება ექვემდებარება „საბჭოს“ ზედამხედველობას. კანონით ვენეცუელაში ყველა თანასწორ უფლებიანია მიუხედავათ სარწმუნოებისა და ტომისა. ყოველ სრულ წლოვან ვენეცუელელს აქვს აქტიური და პასიური საარჩევანო უფლება (უფლება აირჩიოს და უფლება არჩეულ იქმნას).

ვენეცუელა ბუნებით ერთობ მდიდარი ქვეყანაა (ბამბა, თამბაქო, შაქარი, კაკაო, და სხვ.; შესანიშნავი ტყეები, სამხრეთის ხილი; მდიდარი მადნეულობა—ოქრო, სპილენძი, ვერცხლის წყალი და სხვა) და თან მდებარეობაც მეტად მოხერხებული ანტილიის ზღვის პირზე; ვენეცუელას რამდენიმე შესანიშნავი ნავთსადგური აქვს. რა გასაკვირველია, რომ ასე მდიდარმა ქვეყანამ იმ თავითვე მიიზიდა ევროპიელ ვაჭრების ყურადღება. 1881 წელს უკვე ოცდა-თუთხმეტ ათასამდე იყო უცხოელი ვენეცუელაში. მთელი გარე ვაჭრობა ვენეცუელის რესპუბლიკისა უცხოელების ხელშია (უფრო გერმანელებისა). ჩრდილოეთ-ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ქვეშევრდომებს აქ დიდ-ძალი სავაჭრო და სამრეწველო საქმეები აქვთ. ამიტომ არის, რომ ყოველი არეულობა და რევოლიუცია, რომელიც ასე ხშირია ვენეცუელაში, დიდათ მაზარალებელია უცხოელებისათვის; ყოველ არეულობისა და რევოლიუციის შემდეგ დაზარალებულნი ზარალის აღდგენას სთხოვენ რესპუბლიკის მთავრობას; მთხოვნელს, რასაკვირველია, ზურგი გამაგრებული აქვს თავის მთავრობის მხრივ და ერთი ორად აზღვევინებს დასუსტებულ რესპუბლიკას.

ეხლა ხან ვენეცუელაში მოხდა ჩვეულებრივი არეულობა. უცხოელებმა თავიანთ მთავრობებს მიჰმართეს და ესენიც ჩაერივნენ საქმეში, მაგრამ უფრო მეტის ენერგიით, ვიდრე ეს წინად მომხდარა: ინგლისისა და გერმანიის შეერთებულმა ესკადრამ ზღვაში დაღუპა ვენეცუელის ფლოტი და ნაპირზე ჯარის კაცები გადასხა—უფრო ჩქარა ისწავლიან ჭკუას ვენეცუელელებიო.

რესპუბლიკის პრეზიდენტი კასტრო არ შეჰშინებია ძლიერ მოკავშირეთა ასეთ შეუფერებელ სიმკაცრეს და ხალხს მანიფესტით მიჰმართა. ხალხიც აღტაცებით მიეგება პრეზიდენტის მოწოდებას და, როგორც გაზეთები იტყობინებიან, უკვე 50.000 კაცი შეიარაღდა.

რასაკვირველია, მარტო ვენეცუელა ვერაფერს გახდება ძლიერ მტრებთან: იგი იძულებული გახდება დააკმაყოფილოს მათი კანონიერი თუ უკანონო მოთხოვნა, მაგრამ ერთი კი ცხადია—ვერც ერთი ევროპიელი სახელმწიფო ფეხს ვერ მოიკიდებს ვენეცუელის ტერიტორიაზე. ამის გარანტია ჩრდილოეთ ამერიკის ძლიერი რესპუბლიკა და მისი ენერგიული პრეზიდენტი რუზველტია. მონროეს დოქტრინა — ამერიკა ამერიკელებისათვის—ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ამერიკელებს და არც ერთ ევროპიელ სახელმწიფოს ნებას არ მისცემენ ამერიკის რომელსამე კუთხეში ფეხი მოიმაგრონ. და თუ ვინმემ სცადა, ბევრს ინანებს, რადგან საქმე უმდიდრეს და უძლიერეს სახელმწიფოსთან ექმნება და არა მარტო ვენეცუელასთან.

---

*) საზღვრები—ჩრდილოეთით ანტილიის ზღვა, აღმოსავლეთით—ატლანტიკის ოკეანე და გვიანა, სამხრეთით—ბრაზილია და დასავლეთით—კოლუმბია.

ახალი ამბავი

✦ 8 დეკემბერს კავკასიის **მთავარ-მართებელი პეტერბურგს ჩავიდა.**

✦ დღეს, 11 დეკემბერს, ტფილისის საბჭოს **ხმოსნებს კერძო მოლაპარაკება ექნებათ** ქალაქის მოურავის კანდიდატის დასასახელებლად.

✦ კობსა და ჯვარს შუა **სამხედრო-საქართველოს გზა შეკრულია** ზვავებისა და დიდი თოვლისაგან. გზის გაწმენდას უკვე შეუდგნენ.

✦ 14 დეკემბერს **საქართველოს ეგზარხოსი მიემგზავრება ახტალას** მონასტერში, სადაც 15 დეკემბერს აკურთხებს ახლად აგებულ ეკლესიას.

✦ **ფოთიდან გვწერენ:** მომავალ ვაჟთა პროგიმნაზიის შენობის ასაშენებლად, ნავთსადგურის ამშენებელმა ინჟენრებმა, ბუნგემ და პალაშკოვსკიმ, შესწირეს 2000 მანეთის ქვა. კომისიამ, რომელიც არჩეულია ზემოხსენებულ შენობის ასაგებად, უკვე შეუკვეთა შენობის გეგმა ქალაქის ინჟენერს და მიწა, სადაც პროგიმნაზიის შენობა იქნება აგებული, დაავეგმია.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის მოურავს დაუნიშნოს 6000 მანეთი წელიწადში, მოურავის მოადგილეს—4100 მან., გამგეობის წევრებს თითოს 3600 მან. და ქალაქის მდივანს 2000 მან. გუბერნატორმა საბჭოს ეს **გადაწყვეტილება უკვე დაამტკიცა**.

◆ 8 დეკემბრისათვის დანიშნული იყო **კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების** კრება, მაგრამ არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდვა 15 დეკემბრისათვის.

◆ 8 დეკემბერს ტფილისის **სამუზიკო საზოგადოების** დირექციის წევრთა არჩევნები მოხდა. დირექტორად ისევ კ. მ. ალიხანოვი აარჩიეს.

◆ გუშინ, 10 დეკემბრისათვის, ტფილისის ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო საქმე ახალქალაქის მცხოვრების სიმონ გასპარას ძის აკოფოვისა და სენაკის მაზრის სოფელ სახაინდრავოს მცხოვრების სამსონ დანელიასი, რომელთაც ვაჭრის **ივანე ერმიეს მოკვლა** და მისი სახლიდან სხვა-და-სხვა ნივთების მოპარვა ჰბრალდებოდათ. სასამართლოში არ გამოცხადდა ერთი უმთავრესი მოწმე გრიგოლ ჩიქოვანი, რის გამო ბრალმდებლისა და ბრალდებულთა დამცველების თხოვნით საქმე გადაიდო.

◆ 7 დეკემბერს, როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, ოლქის სასამართლოს ბათუმში განუხილავს საქმე თავართქილაძისა, მოკიასი და ჯიქიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ **მეფოსტის გაძარცვა** მატარებელში. სასამართლომ ჯიქიშვილი გაამართლა, ხოლო თავართქილაძე და მოკია დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 15 წლით კატორგაში გაგზავნა.

◆ გუშინ წინ, 9 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების ნიკოლოოზ დილმელაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის სტრელკოვის სამსახურის აღსრულების დროს სიტყვიერად შეურაცხება. 1901 წელს, 17 სექტემბერს, სამსახურის გათავების შემდეგ მოსამართლე სტრელკოვი ავჭალის ქუჩაზე გაჩერებულა ტრამვაის ვაგონის მოლოდინში. ამ დროს ჩაჩიბაიას დუქნის კარებიდან მოსამართლეს შემოსძახა: განა რისთვის გვაცლით, მსაჯულო, ლუკმას, რომ ნებას არ გვაძლევთ თხოვნის დაწერისასაო. სტრელკოვს უპასუხნია, თუ რამე საქმე გაქვთ, ჩემთან კანცელარიაში მოდითო. ამაზე დილმელაშვილს უფრო ხმა მაღლა დაუწყია ლაპარაკი და მოსამართლესთვის დედაც შეუგინებია. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო დილმელაშვილი და გადაუწყვიტა 75 მანეთით დაჯარიმება, ხოლო თუ ამის გადახდას ვერ შეიძლებს, უნდა დაპატიმრებულ იქმნეს პოლიციასთან 15 დღით.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრო ეკითხება მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, **აირჩიეთ თუ არა ბათუმის მხარეს** ისეთი ადგილები, სადაც ფორთოხლისა და ლიმონის ხეების გაშენება შეიძლებაო.

◆ **ვერაზე ხიდის დუქნის გამართვას** ქალაქი ამ თვისს პირველ რიცხვებისათვის გვპირდებოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა საქმის მდგომარეობას, კარგი იქმნება იანვრის დამლევამდეც მოასწროს დუქნის მოწყობა და გამართვა. მხოლოდ ახლა შეუდგა ქალაქი რაღაც ძველი შენობის ამ საჭიროებისათვის მოწყობას ვერის აღმართის მოედანზე.

◆ ვისაც მომავალ წელში **ნომრების ოთახები უნდა ჰქონდეს გამართული**, 15 იანვრამდე უთუოდ უნდა აიღოს ამისი ნება პოლიცმეისტრისაგან. პოლიცმეისტერს დაუვალებია ბოქაულებისათვის ამის გამოცხადება და, ვინც ასე არ მოიქცევა, იმას ნომრებს დაუკეტავო. ბუფეტებისა, ტრაქტირებისა, რესტორანებისა და სხვა ამგვარების მოვაჭრეთ, თუ დანიშნულ ვადის შემდეგაც უნდათ ღამით ივაჭრონ, ამისი ნება უნდა გამოითხოვონ პოლიცმეისტრისაგან ახალ წლამდე, თორემ ამის შემდეგ არავის თხოვნას აღარ მიიღებენ.

◆ დუშეთის მაზრის ერთს მემამულეს მიუმართავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის და სთხოვს, სამეურნეო საჭიროებათა მკვლევარმა საბჭომ გამოსთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხის არა მცირედი ნაწილი **საქონლისა და ცხვარის შენახვას მისდევს** და ამის გამოსაკვებად ერთ საძოვრიდან მეორეზე მიერეკებიან ცხვარ-საქონელს სამთარ-ზაფხულობით დიდმანძილზე, ასე რომ პატრონი თითქმის სულ აქეთ-იქით მოძრაობაშიაო. ამ მოძრაობაში პატრონის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თოფ-იარაღი, ურომლისოდ თავის ქონებას ვერასოდეს ვერ დაიფარავს ავაზაკებისაგანაო; ამისათვის საბჭომ საჭიროდ უნდა სცნოს ცხვარ-საქონლის პატრონისათვის იარაღის ტარება და მთავრობამაც ამის ნება უნდა დართოს ამ დარგის მეურნეთაო.

◆ ერთგვარი ხეა—ტისი ჰქვია—რომელიც **მეტად გამოსადეგია მრეწველობაში**; განსაკუთრებით-კი გემების ტანის საცმელადაა გამოსადეგი. ეს მცენარე ინდოეთსა და საზოგადოდ აღმოსავლეთ აზიის მხარეს მოდის. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ამ მცენარის თესლი გამოუწერია და უნდა სცადოს, იხარებს თუ არა ეს მცენარე ჩვენს ქვეყანაში. თესლი აქაურ აგრონომებისა და აქაურ ბოტანიკურ ბაღის დირექტორისათვის გამოუგზავნიათ ხალხისათვის დასარიგებლად.

◆ ახლოვდება ახალი წელიწადი და სხვა-და-სხვა დარგის **სავაჭრო დოკუმენტების გამოტანის** ვადაც დადგა, თუ ხაზინიდან, თუ ქალაქის გამგეობიდან. ამ უკანასკნელმა გუშინ დაიწყო დოკუმენტების მიცემა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ გამგეობას ერთი კაცი მიუჩენია ამ საქმისათვის და ვერ ასწრობს ფულის მიღებასა და დოკუმენტების დარიგებას, რადგან გუშინვე აუარებელი ხალხი მიაწყდა ამ საქმისათვის.

◆ გადამდებ სენისათვის ქალაქის **სავადმყოფოს ორდინატორად** ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ექიმი-ქალი ბაქრაძე—დედაბრიშვილისა.

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა ხარკოვის **პირუტყვთა გამოფენის** გამმართველ კომიტეტს, რომ ექსპონენტების დასაჯილდოვებლად სამეურნეო საზოგადოებამ დანიშნა 2 დიდი და 2 პატარა ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

◆ **ღარიბ ქალთა საექიმო დასახმარებლად** ქალაქში განსაკუთრებით დანიშნულია ექიმი-ქალი ფომინა-ოსიპოვისა. ქალაქის გამგეობაში შეკრებილის ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ამ ექიმ-ქალს წარსულ თვეში 24 ქალისათვის აღმოუჩენია დახმარება. რა თქმა უნდა, ქალაქის ღარიბთ არ იციან ექიმი-ქალის მოვალეობა, თორემ გაცილებით უფრო მეტი მუშტარი ეყოლებოდა ქბ-ნ ფომინა-ოსიპოვისას. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ექიმი-ქალი ვერაზე დგას, მაშინ როდესაც უფრო გაჭირვებული და შეუძლო ხალხი ამ უბნიდან გაცილებით შორს არიან.

◆ კიდევ ერთი თავხედური თავდასხმა მოხდა გუშინ-წინ გოლოვინსკი პროსპექტზე კადეტთა კორპუსის წინ, საღამოს 7 საათზე: ქვრივს მ. პ. გედევანოვისას ერთი ვინმე მიჰვარდა, ხელიდან რიდიკული გამოსტაცა და მოჰკურცხლა. პოლიციელიც კი არსად სჩანდა, თუმცა ამ ქალის შეწუხებაზე გამვლელთ თავი გამოიდეს და ბევრი ეძებეს უნაყოფოდ პოლიციელიცა და თავ-ხედიც.

◆ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში დუშეთის მცხოვრებს გრიგორ მარტირუზოვს მძიმედ დაუჭრია გრიგორ მირაქოვი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ კვირას, 8 დეკემბერს, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში, ი. ი. პურადოვის თავმჯდომარეობით, მოხდა პურის მცხობელ ამხანაგობის „იმედის“ წევრთა საგანგებო კრება. კრებას მოხსენდა ამხანაგობის საქმეების მდგომარეობა, რომელიც სასურველი ვერ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც არა უშავს რა, თუ შემდეგში საზოგადოება მეტს თანაგრძნობას გამოიჩენს და გამგეობაც მეტს უნარსა და ფხას. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნა ა. პ. ქურციკიძე (ბ-ნნი ი. ი. პურადოვი და პ. ი. გოკიელოვი ისევ დარჩნენ გამგეობის წევრებად); კანდიდატებად აირჩიეს: ი. ზ. ბადრიძე და ვ. ხაინდრავა; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: ს. მუნჯიევი და ვ. ჟორჟოლაძე. წინადადება მიეცა გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს, ერთად აირჩიონ მმართველი, რომელსაც ჯამაგირი უნდა დაენიშნოს თვეში 25—50 მანეთამდის.

◆ უპატრონო ბავშთა სამზრუნველოს კომიტეტის თავმჯდომარეს ქ-ნს ტ. გ. ნაზაროვისას განუზრახავს საშობაოდ ღარიბ ბავშთათვის შობის ხე გამართოს. ამას გარდა, მიუმართავს კერძო კაცებისათვის, რომ ფულითა და ფართლეულობით შემწეობა აღმოუჩინონ მას საშობაოთ 100 ღარიბ ბავშისთვის ტანისამოსის შეკერვაში. როგორც გავიგე, ბევრს ვაჭარს შეუწირავს სხვა-და-სხვა ფართლეულობა, რომლის შეკერვაც ქუთათურ მანდილოსნებს უფასოდ უკისრიათ. ულარიბეს ბავშების ამოსარჩევად მთელი ქალაქი დაყოფილია 14 ნაწილად, რომელთაგან თითო ნაწილი თითო კაცსა აქვს მინდობილი. ყველამ თავისს უბანში უნდა ამოარჩიოს ულარიბესი ბავშები 7—10-მდის და კომიტეტს წარუდგინოს.

◆ **წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობას გამგეობისაგან წერილების დარიგების შემდეგ ამხანაგობის კასაში ბევრი ხელის მომწერი მიდის ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთად.**

◆ **სტ. ფარაჯოვის დამჭრელი მ—შვილი და სამიც მისი თანამოაზრე პოლიციამ უკვე შეიპყრო.**

რუსეთის ქრონიკა

◆ ერობებმა მოუხშირეს შიდა-რუსეთში გლეხთათვის გაზეთების გამოცემას. ახლა ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო ერობამ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველ-კვირეული იაფფასიანი გაზეთი.

◆ გაზეთების სიტყვით, ლაპარაკია ალძრული იურიევის უნივერსიტეტის გადაკეთების შესახებ. როგორც ვიწყით, ამ უნივერსიტეტს საღვთის მეტყველო ფაკულტეტიცა აქვს. ჰფიქრობდნენ, ფაკულტეტი გამოეცალკევებინათ და განსაკუთრებული საღვთის-მეტყველო სასწავლებელი დაეარსებინათ, მაგრამ ამ აზრისათვის თავი დაუნებებიათ. აზრადა აქვთ ეხლა დააწესონ, რომ ამიერიდან ამ ფაკულტეტის საზოგადო საგნები რუსულს ენაზე იკითხებოდეს. ამას გარდა ჰფიქრობენ დააწესონ, როგორც წინად იყო, ესტონთა, ლატიშთა და პოლონელთა საღვთის-მეტყველო კათედრები.

◆ სასოფლო-მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად შემდგარი კომიტეტები ბევრგან საჯაროდ მუშაობენ, მაგრამ ბევრგან სხდომებზე გარეშეებს სულ არ უშვებენ. სხვათა შორის, სამარის გუბერნიაში ნიკოლაევის სამაზრო კომიტეტიც გარეშეთა დაუსწრებლად მუშაობს. როდესაც თავმჯდომარეს აკიმოვს (მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს) გამოუცხადებია, რომ სხდომები გარეშეთა დაუსწრებლად მოხდებაო, ერთ წევრს, პროტოპოპოვს, თავისი მოხსენება უკანვე წაუღია და უთქვამს, ასეთ კომიტეტში მუშაობა არ შემიძლიანო. პროტოპოპოვის მაგალითისათვის მიუბაძავთ და დარბაზიდან გასულან: ხაზინის წარმომადგენელი ზუბროვი, კაცთ-მოყვარე საზოგადოების წარმომადგენელი ბობროვი და სასოფლო-სამეუ-

ფელეტონი

წერილი ახალსენაკიდან

გაჭირვება სოფლის ხალხისა.—სიმშილობა.—მამულის სიმცირე და სიძვირე.—რას იღებს გლეხი მიწის მუშაობისაგან.—მევახშეობა და ჩარჩ-ვაჭრები

I

წრევანდელმა წელიწადმა ღრმა კვალი დააჩინა სენაკის მაზრის გლეხ-კაცობის ეკონომიურ ცხოვრებას: ცალკე წარსულის წლის მოუსავლობამ და ცალკე იმ გარემოებამ, რომ გაზაფხულზე სიმინდის ფასმა აიწია, ბედშავი ხალხი დიდსა და აუწერელს გაჭირვებაში ჩაგდო.

სენაკის მაზრის მცხოვრებთა ნახევარზე მეტს სიმინდი ივლისამდეც არ გაჰყოლია, მეტადრე მთა-გორიან ადგილებში. საზოგადოდ ბარად მთასთან შედარებით სიმინდმა კარგი მოსავალი იცის, და დასამუშავებელი ადგილ-მამული მეტია. გარდა ამისა აქ სხვა სამუშაოც იშოვება და ხელი თითქმის არ გაცდება, თუ კი მოისურვებს მუშაობას: რკინის გზის სადგურებზე მუშაობა, ურმებით სიმინდის ან პარკის გადაზიდვა, ულრან ტყეებიდან შეშის გამოტანა, თუ სხვა რამ სამუშაო,—ერთის სიტყვით, ცოტა-ოდენი სამუშაო მუდამ იშოვება, თუმცა სამუშაო ქირა სახარბიელო არ არის. ამასაც მოკლებულია უფრო მჭიდროდ დასახლებული ნაწილი სენაკის მაზრისა,—მთა-გორიანი სამეგრელო. აქაური მცხოვრები ერთად-ერთ დედა-მიწას შეჰყურებს, იმის გარეშე სხვა არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მოეპოვება. მიწაც, სამუშაო მიწაც, ძალიან ნაკლებადა აქვთ გლეხობას, რის გამოც იძულებულნი არიან სამუშაოდ გარედ, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში გადაიხიზნენ: აქ იშვიათია იმისთანა ოჯახი, რომელსაც ორი თუ არა, ერთი წევრი მაინც არა ჰყავდეს გაგზავნილი სხვაგან სამუშაოდ; აქაური მუშა უმეტესად სოხუმის ოლქს აწყდება.

ამიტომაც ბარს იმდენად არ დასტყობია სიმშილობა წრეულს, რამდენადაც მთა-გორიანს სამეგრელოს: აქ ბედნიერ კაცად ის ჩაითვლებოდა, ვისაც სიმინდი სასყიდელი არ ჰქონდა. უმეტესობა კი, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ამ ბედნიერებას მოკლებული იყო. ყიდვით როგორ უნდა ეყიდნა გაჭირვებულს გლეხს, როდესაც სიმინდის ფასმა 35—40 კაპეიკის მაგიერ 1-მანეთიდან 1 მ. 20 კაპეიკამდე აიწია! ასე ძვირად ჩვენში თითო ორ-ოლას თუ შეუძლიან სიმინდის ყიდვა და ცოლ-შვილის გამოკვება, თორემ უმეტესობას—ღარიბს ხალხს ამისი აჯა სადა აქვს? ამითი აიხსნება, რომ ჩვენში ჩვენის ცხოვრებისათვის არა ჩვეულებრივს მოვლენას წრეულს ადგილი ჰქონდა. ჩვენში ჯერ იშვიათად ყოფილა ისეთი ქონებრივად დაცემული ოჯახი, რომ სიმინდიც ვეღარ ეშოვოს ცოლ-შვილის გამოსაკვებად. წრეულს კი ამისთანა ოჯახი ბევრი გამოჩნდა: სიმინდი ადრე გამოელია, ყიდვით კი ვეღარ უყიდნიათ უსახსრობისა გამო, და ნამდვილი „სიმშილობა“ დაუდგათ! მკითხველმა რომ ცარიელ სიტყვებად არ ჩამომართვას, აქ მოვიყვან ორიოდე მაგალითს.

სოფელ ლეისიტინეში წვრილ ცოლშვილის პატრონი გლეხი ს. ავად გახდა,—ოჯახს რაც ებადა, შეუჭამია, და სამი დღე მთელი ოჯახი უჭმელ-უსმელი იყო თურმე, სანამ ადგილობრივმა მამასახლისმა არ შეიტყო ეს ამბავი. ამ უკანასკნელმა სიმშილისაგან არაქათ გამოლეული ხალხი ურემზე დასხა და სოფლის ყრილობას წარუდგინა,—სოფელმაც შეიბრალა ბედკრული ოჯახი და შეძლებისა დაგვარად შემწეობა აღმოუჩინა.

აი, მეორე მაგალითიც. გლეხს პ—ლს დიდი ხანია, რაც სიმინდი გამოელია, მაგრამ მაინც ასე თუ ისე სცოდვილობდა და ცოლ-შვილს ატყუებდა ხან ხილეულობით, ხან ჰყლინტო სიმინდით... მაგრამ დახე იმის ბედს: უჭმელობით ღონე მიხდილი ცოლი ფილტვების ანთებით ავად გახდა. სოფლის ფერშლისაგან როგორღაც „რეცი“ (რეცეპტი) ეშოვნა და თავის უკანასკნელ ექვსი აბაზით წასულიყო აფთიაქში, მაგრამ ვეღარ გაიმეტა უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა საყვარელ ცოლისთვის წამლების სასყიდლად და მწუხარებით წარმოსთქვა: „ბატონო, ისევ ცოლი მომიკვდეს სჯობს, ვინემ წვრილი შვილები სიმშილით დამეხოცნენ!“ ამას განმარტება აღარ სჭირია. ამისთანა გულ-შემზარავი ამბავი რამდენი ერთი ჩამოგითვალო, მკითხველო!

რა არის მიზეზი ჩვენის ხალხის ქონებრივად ასე დაცემისა? ნუ თუ ერთის წლის მოუსავლობას შეუძლიან ასე დასცეს შრომის-მოყვარე გლეხ-კაცობა? აქ ამის მიზეზთა გამოკვლევას არ შეუდგები, მხოლოდ დავასახელებ ორს უმთავრესს მიზეზს: ერთია—საკმაო სამუშაო მიწის უქონლობა და მეორე—გლეხ-კაცის სრულიად უვიცობა, სიბნელე. ცოტათი განვმარტოთ. თუმცა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩვენში გლეხკაცობამ დიდ ძალი მამული შეისყიდა მებატონეთაგან, მაგრამ მაინც ჩვენს გლეხს საკმაოდ სამუშაო მიწა არა აქვს: ის, რაც ოცდა-ათ-ორმოცის წლის წინად ჰყოფნიდა, დღეს აღარა ჰყოფნის, რადგან ხალხი გამრავლდა და ამასთან მიწის განაწილებაც არა თანასწორად მოხდა. არის იმისთანა საზოგადოება, სადაც თითქმის მთელი მამული, „გრამატაში“ ჩატანებული, შესყიდული აქვს მიწის მომქმედს, არის იმისთანაც, მაგალითად, ლეისტინის საზოგადოება (ზუგდიდის მაზრაში), სადაც გლეხს ერთი მტკაველი მამული არ შეუსყიდნია. მიწა, როგორც ზევითაც ვსთქვით, გლეხთა შორის ძალიან

ეროვნული

რნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი—მედვედევი და რახმანინი. მედვედევი და რახმანინი გლეხები არიან.

✦ მთავრობას აზრადა აქვს დააარსოს განსაკუთრებული ბიურო მწერლობის სარეგისტრაციოდ. პროექტის თანახმად, ამ ბიუროს ხელში უნდა გაიაროს ყოველ-გვარმა ახლად დასაბეჭდმა წიგნმა, თხზულებათ და სხვა. ბიუროს წევრებად იქმნებიან წარმომადგენელნი: სამეცნიერო აკადემიისა, უწმ. სინოდისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსი, ბეჭდვითი საქმის მთავარ-გამგეობისა, ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოებისა და საბიბლიოგრაფიო საზოგადოებისა. ეს ბიურო საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავთან იქმნება. ბიუროსათვის გადასდებენ 10,000 მ.

✦ ფინანსთა სამინისტროს მაგარ სასმელების დუქნებისათვის 1903 წელს, როგორც გამოანგარიშებულია, დასჭირდება 63,253 ათასი ვედრო სპირტი. აქედან 54,602,467 ვედროს სამინისტრო შეუკვეთავს გადაწყვეტილ ფასით იმათ, ვისაც ევროპის რუსეთში არყის ქარხნები აქვთ.

პრესსა

როგორც მკითხველებმა იციან, მომავალ თვეში უნდა მოხდეს შორაპნის მარგანეცის მრეწველთა საზოგადო კრება. ბევრი საინტერესო საკითხი აქვს გადასაწყვეტი მომავალ კრებას და მათ შორის ისეთი საქმეები, რომელნიც მარგანეცის მუშათა მდგომარეობას ეხებიან. ჩვენის ფიქრით, მომავალმა კრებამ ამ საქმეებს უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება, რადგან მადნის მუშების ყოფა-ცხოვრება მართლა უნუგეშო სურათს წარმოადგენს. აი, სხვათა შორის, რას იწერება „კვალი“-ს კორესპონდენტი ამის გამო:

> რომ იცოდეთ, სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე და ღამეში, გაოცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური ქოხმახები, რომლებიც ყველაფერს გვანან, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალა-უნებურათ გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლათ არსად არ უნდა აფასებდენ, როგორც ჭიათურის მადნებში. სკოლა რა ხილია, აქ იციან, თუმცა მცირე წლოვან მომუშავეთა რიცხვი საკმარისათ დიდია. აქედან ადვილათ აიხსნება ის გარემოება, რომ წერა-კითხვის მცოდნეს აქ სანთლით ვერ მოძებნი. მაგრამ მადნებში მომუშავეთა კიდევ უფრო უარეს ყოფაში ჩალვადრებია, ე. ი. ისინი, ვისაც ხარ-კამეჩით თუ ცხენით მადანი რკინის გზის ბაქანზე ჩამოაქვთ. თუ მადნებში მომუშავე ხალხს სამთო გამგეობა კიდევ ასე თუ ისე იხსენიებს, ჩალვადრები მასაც დავიწყებული ყავს და მრეწველთა საბჭოს ხომ ისინი არ გახსენებია და არა, ე. ი. თუ ჩვენ სამთო მუშათა რიცხვი, ტყუილი თუ მართალი, მაინც გვაქვს, ჩალვადრების შესახებ არც ეს ვიცით. მრეწველებში იციან მხოლოთ, რომ ვიღაც ივანეები და პეტრეები მადნებში მიდიან, იქ ტვირთვენ ურმებს და ცხენებს შავი-ქვით, რომელიც ჩააქვთ რკინის გზის ბაქნებზე. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ჩალვადარი თავისი ცხენით ან ხარ-კამეჩით რკინის გზის ბაქანის მაგიერ ხრამში გადავარდება და სამუდამოთ იკარგება. მაგრამ ეს არავის აწუხებს, და ამას შველის ის გარემოებაც, რომ მათი სათვალავიც კი არავინ იცის, რომ დაკლება მაინც შენიშნოს!

⁂

„არგონავტ“-ის ახლად გამოსულ ნომერში (№ 1), სხვათა შორის, მოთავსებულია ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „ჟურნალ აზიატიკ“-ის ერთ წერილზე, რომლის ავტორი, ბ. შარანსეი, ამტკიცებს თურმე, რომ აზიის გიმალაის მთიულთა და კავკასიის მცხოვრებთა (მთიულთა და ქართველთა) ენებს შორის ნათესაობა არისო. ამის დასამტკიცებლად ბ. შარანსეის მოჰყავს სულ ცოტა მაგალითი; ამათგან სამი მაგალითი ქართულ ენას შეეხება და სწორედ ეს სამი მაგალითი, ჩვენის ფიქრით, არაფერს არ ამტკიცებს; მხოლოდ ერთი ჰგავს მართალს, სხვები-კი ენების ნათესაობას როდი ამტკიცებს, პირიქით, სრულს შორიშორობას. მართალს ჰგავს მხოლოდ სიტყვა „თავი“, რომელიც დასავლეთ ჩინელების ენაზე „თაუ“ (thaou) ყოფილა. ორი სხვა მაგალითი შემდეგია: „პირი“ ბირმანულად „პარატ“ (parat) ყოფილა. ეს ორი სიტყვა სულ სხვა და სხვაა, რადგან „ი“ „ა“-ზე არ იცვლება. „ხელი“ იქაურად „კალიოკ“. (kaliok) ყოფილა; აქაც „ა“ „ე“-ნად უნდა შეიცვალოს და კიდევ ზედმეტი „ოკ“ უნდა მიემატოს, რომ ქართულს „ხელს“-ს დაემსგავსოს, მაშინ როდესაც ეს სიტყვა და ბერძნული ხეირ (kheir) მართლა ჰგავან ერთმანეთს. თუ შარანსეის სხვა დამამტკიცებელი საბუთები არა აქვს, მისი გამოკვლევა, ჩვენის აზრით, სრული არ არის და საგანს საკმაოდ ვერ არკვევს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

თურმე ერთხელ მეტად (1894 წ.) არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ქალაქის გამგეობას დროზე შეედგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, საბჭოს განეხილოს და თავის დროზე საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის წარედგინოს თავის დროზე დასამტკიცებლად. მიზეზი? საქმის მწარმოებლები დროზე ვერ აწვდიან გამგეობას საჭირო ცნობებსო. რატომ ვერ აწვდიან? ასე შორს არ წასულა მიზეზების გამოკვლევა ეხლანდელ გამგეობაში.

საკრებულოს აღუნიშნავს ასეთი ანორმალური მოვლენა და პასუხი მოუთხოვია გამგეობისათვის. გამგეობამ საკრებულოს ქაღალდი საბჭოს მოახსენა. **არშაკ ზაზოვი** ჯერ „პრინციპიალურად“ შეეხო საქმეს—როცა გვინდა, მაშინ შევადგენთ ხარჯთ-აღრიცხვასო, რადგან საქალაქო დებულებაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც გვავალებდეს უთუოდ ამ დროსთვის იყოს შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვაო; შემდეგ კი შენიშნა—პრაქტიკულად უხერხულია ამ საქმის ასეთი დაგვიანებაო. ალ. მ. არღუთინსკი წინაამდეგია არშაკის „პრინციპიალურ“ მოსაზრებისა—კანონიცა და საღი ლოღიკაც თხოულობს, რომ ყოველი წელიწადი თავის ხარჯთ-აღრიცხვით ცხოვრობდესო და ამიტომ პრინციპიალურად და პრაქტიკულადაც ხარჯთ-აღრიცხვა უთუოდ პირველ იანვრამდე უნდა დამტკიცდესო. ბ. არღუთინსკის აზრით, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დაგვიანების მიზეზი არის თვით შედგენის არსებული წესი, რომელიც უთუოდ უნდა შეიცვალოსო, რისთვისაც გამგეობის მოხსენება უნდა გადაეცეს საფინანსო კომისიასო. საბჭოც დაეთანხმა ხმოსნის წინადადებას და, რადგან მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა ვინ იცის როდის იქნება მზად, დაადგინა—იანვრიდან დროებით ძველის ხარჯთ-აღრიცხვით იხელმძღვანელოს გამგეობამო.

დიდი და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ვერის ხიდის საჯარო ვაჭრობით გაცემამ. როგორც ვიცით, პირველი ვაჭრობა არ დამტკიცდა. მეორე ვაჭრობაზე უდიდესი იჯარა—20.505 მ.—შემოუძლევია ახნაზაროვს, მაგრამ შემდეგ გამგეობაში შეუტანია ქაღალდი იოსავას და შემოუძლევია 21.000 მანეთი. კამათი სწორედ იოსავას განცხადების გამო მოხდა: მისაღებია ეს განცხადება თუ არაო. **ხმ. კოჟინის** აზრით, რადგან საჯარო ვაჭრობის დამტკიცება საბჭოს საქმეა და იოსავას ქაღალდი ამ დამტკიცებამდეა შემოტანილი, ამიტომ იგი უთუოდ იქნეს მხედველობაში მიღებულიო. **ხმ. ფრიდონოვის** აზრით კი, ასეთი საქციელი ყოვლად შეუსაბამოა და ვაჭრობის სიწმინდის დამარღვეველიო. ფრიდონოვს მიემხრნენ ბ.ბ. ლენჩევსკი, არ. ზაზოვი, თხორჟევსკი და სხვანი. ხმ. **დ. ტიგრანოვი** ამბობს, რომ სიწმინდე და ვაჭრობა ერთად მოსატანი არ არისო; აქ ფულის საქმეა, იოსავა მეტს გვაძლევს და იმას უნდა მივცეთ ვერის ხიდი; თუ არა და უკეთესი იქნება ახალი ვაჭრობა დავნიშნოთო. და თუ იმის გეშინიათ, რომ მესამე ვაჭრობის შემდეგაც იოსავასებური განცხადებები შემოვა, გამოაცხადეთ, რომ განცხადებას არ მიიღებთ. მეტს გვაძლევენ და ნაკლებს რად უნდა დავჯერდეთო.

საბჭომ მაინც ახნაზაროვს დაუმტკიცა ვერის ხიდის იჯარა. მოტივი კი ასეთის დადგენილებისა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

ორი იჯარის საქმე იყო კიდევ განსახილველი და მათ გამოც ბევრი ილაპარაკეს. აბანოების ახლო ქალაქს შიოევის ქალის ნაანდერძევი ქარვასლა ჰქონია, მაგრამ ისე ცუდათ მოწყობილი და ჭუჭყიანად შენახული, რომ, ხმ. სულხანოვის სიტყვით, კერძო მესაკუთრეს ამისათვის პასუხის გებაში მისცემდნენ. ამ ქარვასლის წინანდელი მოიჯარადრე გაქცეულა. ეხლა ქალაქის გამგეობას ქარვასლის შეკეთება გადაუწყვეტია და ეხლავე იჯარით გაუცია 2400 მანეთად.

ქალაქის სასწორებს 70-იან წლებში ოცი ათას მანეთამდე შემოსავალი ჰქონია თურმე, მაგრამ თან-და-თან ისე შემცირებულა, რომ ეხლა სამას თუმანსაც აღარ იძლევა. ეხლა-ხან საჯარო ვაჭრობით გაცემა მოინდომეს, მაგრამ სულ ცოტა შეაძლიეს ქალაქს და ამიტომ გამგეობას გადაუწყვეტია თვითონვე გაუძღვეს სასწორების საქმეს, საბჭოც თანახმა გაუხდა გამგეობას, მაგრამ მხოლოდ ექვსის თვით—საქმის დაწვრილებით გასაცნობად და ახალ მოხსენების წარმოსადგენად.

სასწორების შემოსავლის ასეთი შემცირება, როგორც **ალ. არღუთინსკიმ** ახსნა, რკინის გზის საქმე ყოფილა; ასე რომ ყარსისა და ერევნის რკინის გზის დამთავრება კიდევ უფრო შეამცირებს ამ შემოსავალს: საქონელი ბევრი მოდის ტფილისში, მაგრამ იგი უკვე აწონილია რკინის გზაზედო.

დაუსრულებელი კამათი გამოიწვია განსვენებულ ლორის-მელიქოვის სტიპენდიანტის დანიშვნამ. მთხოვნელი ათამდე ყოფილა: ამათგან საქალაქო სკოლების კომისიას ამოურჩევია ხუთი ულარიბესი სტუდენტი და მათთვის კენჭი უყრია: ზოგს ხუთი ამოსვლია, ზოგს ოთხი და ზოგს ნაკლები; მაგრამ თითონ მაინც არც ერთი არ ამოურჩევია და ხუთივე საბჭოს წარმოუდგინა. კარგი წინადადება შემოიტანა ხმ. ხატისოვმა—ისევ სკოლების კომისიას გადავცეთ ეს საქმე, მას უკეთ შეუძლია შეჰკრიბოს დამატებითი ცნობები, ამიტომ მანვე ამოირჩიოს ერთი და საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლადაო. **არშაკ ზაზოვი** დიდი წინააღმდეგია ხატისოვის აზრის—fiat justitia, pereat mundus! არჩევანი საბჭოს საქმეა და არა კომისიისაო, თითქოს ხატისოვი ამ უფლების უარ-ჰყოფას თხოულობდა.

მეტად ბევრი ილაპარაკეს. ყველას დაქანცულობა ეტყობოდა, მაგრამ ლაპარაკს მაინც არ ათავებდნენ. ბოლოს უარჰყვეს კომისიაში საქმის გადაცემაც და წილის ყრაც; საქმე გადაუწყვეტელი დარჩა.

ვერაფერი საქმიანობაა ამდენი დროის დაკარგვა ისეთ არა მძიმე საქმისათვის, როგორც სტიპენდიების დანიშვნაა.

თეატრი

ქუთაისი. კვირას, 8 დეკემბერს, აქაურმა დრამატიულმა დასმა ეფემია მესხის მონაწილეობით წარმოადგინა ოსტროვსკის დრამა „უბრალოდ დასჯილნი“. ჩემის აზრით, ეს წარმოდგენა ქ-ნ ეფ. მესხის გასტროლებში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. თუმცა პირველმა მოქმედებამ ბ-ნ იმერაძის (გრიგორი ლვოვიჩ მუროვი) უხეირო თამაშის წყალობით უფერულად ჩაიარა, მაგრამ შემდეგი მოქმედებები იმდენად კარგი იყო, რომ პირველ მოქმედებისაგან დატოვებული ცუდი შთაბეჭდილება მთლად გაჰფანტა. დიდის სინამდვილით დაგვიხატა ქ-ნმა ეფემია მესხმა (ქ-ნი ასტრადინისა ანუ კრუჩინინისა) გულდამწვარი, პატიოსანი დედა; დიდის გრძნობით ჩაატარა ბ-ნმა ქორიძემ (გრიგორი ნეზნამოვი) მეხუთე მოქმედების უკანასკნელი სცენა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ლაპარაკის კილო ბ-ნს ქორიძეს ამ მოკლე

ქრელადაა განაწილებული: ზოგიერთ გლეხს ბლომად შეუძენია მამული, ზოგს კი-ქცევა, ქცევა-ნახევარი თუ აქვს, დიდი ღვთის წყალობაა. კარგს მოსავლიან წელიწადს ხშირად შეგხვდებათ სოფელში გლეხი, ან და ბატონ აშორდიას და ამხანაგობის მიერ ახლად გამომცხვარი აზნაური, რომელიც ჰყიდის 1500—2000 ფუთს სიმინდსა, იმის მეზობელს კი—გაზაფხულამდის თუ ეყო თავისი სიმინდი, დიდი ღვთის წყალობა იქნება! ან და საიდან უნდა იმყოფინოს საკუთრებას მოკლებულმა მიწათ-მოქმედმა, სხვის მამულზე მომუშავემ, როცა მთელი მისი ნაშრომ-ნაღვაწი ჭირნახული ღალად მიდის მიწის-მფლობელის ხელში? ამას განმარტება სჭირია.

სენაკის მაზრაში საზოგადოდ მიწის-მოქმედი მიწას სანახევროდ შეამუშავებს ხოლმე. ეწრებსა და გამოფიტრულ მიწებს—სამესამედოდ. ეს მთაშია, ბარში კი, უფრო სენაკის ქვემოდ, ზღვის პირად სამესამედოდ სთესვენ ხოლმე სიმინდს. მოსავლის ნახევარი გაწმენდილ-გარჩეული მიწის-მოქმედმა უნდა მიართვას მიწის პატრონს, მეორე ნახევარი კი თვითონა რჩება. ეს კი იმისს დღიურს ქირას არ შეადგენს. გამოცდილ გლეხების გამოანგარიშებით, ერთ ქცევა მიწის შემუშავებას სიმინდის დასათესად უნდება:

ერთი უღელი ხარი ორ პირად დახვნა-დაფარცხვას სამი დღე მაინც—3 მ. 60 კ.

პირველი პირი გათოხნა	4	დღე	1 კაცი
მეორე თოხი . . .	4	„	„ „
მესამე თოხი . . .	3	„	„ „
მოტეხა . . .	3	„	„ „
ჩალის აღება . . .	2	„	„ „

ერთი დღეც ჩავთვალოთ სიმინდის გასარჩევად და სახლში, თუ პატრონთან მისატანად, სულ 17 სამუშაო დღე. მუშა თავისის ხარჯით ზაფხულის ვეება დღეში ათი შაური მაინც ხომ ეღირება, ფულზედ რომ გადავიტანოთ, გამოვა: $8\frac{1}{2}$ მანეთი+3 მ. 60 კაპეიკი, სულ 12 მანეთი და 10 კ. ორთა შუა რიცხვით ქცევა იძლევა 50 ფუთ სიმინდს, აქედან გლეხს რჩება 25 ფუთი. ამას უნდა გამოაკლოთ ორი ფუთი სათესლედ, და ხელში გრჩებათ თორმეტ მანეთად 23 ფუთი სიმინდი! ეს იმ შემთხვევაში, როცა დედაკაცებისა და ბავშვების შრომას არ ჩავაგდებთ ანგარიშში. გარდა ამისა, ჩვენში ზოგად მიწას გადასახადიც აძევს, ეგრედ წოდებული „სამოხელეო“ 1 მან.—1 მ. 20 კაპეიკამდე ქცევაზედ. ამას ზედ დაურთეთ ბატონ მოურავის „გამასპინძლება“—ზოგგან რიგ-რიგად გლეხნი თითო დღე ვალდებულნი არიან ბატონი მოურავი არჩინონ; მიწის სივიწროვე იწვევს მეტოქეობასა და ძღვნებს, ფეშქაშებს და სხვ. ასე და ამ რიგად მიწის მოქმედს ერთი ფუთი სიმინდი უჯდება არა ნაკლებ სამის აბაზისა, უკეთესს შემთხვევაში ათის შაურისა! თვითონ კი უნდა ჰყიდოს, თუ საზრდოს რამე გადაურჩა, 30—45 კაპეიკად. საზრდოს ნუ გადაარჩენს, თუ კაცია, როდესაც ყოველ მხრიდან კარზე ადგანან შინაური და გარეშე მოვალეები.

რითი გაისტუმროს ეს ვაჟბატონები, თუ არა სიმინდით, რომელიც ორი-სამის თვის შემდეგ ისევ სასყიდლად უხდება? გაჰყიდის კი არა, სანამ მოსტეხავს, გაყიდული აქვს ხოლმე: გაიძვერა და მატყუარა ვაჭარ-ჩარჩთა ქსელის ბადეში ისეა მაგრად შეკოჭილი და გაბმული, რომ იქიდან თავის გამოხსნა ყოვლად შეუძლებელია. აი, მაგალითად, ორის თვის წინად შეძლებულს გლეხს მ—ს ფული დასჭირვებოდა და ვაჭრისაგან ესესხა ასი მანეთი იმ პირობით, რომ მთელი მოსალოდნელი მოსავალი მისის სიმინდისა მიეცა ორ-ორ აბაზად ფუთი. ამ პირობის ძალით დღეს მ—მა უნდა ჩააბაროს 800 ფუთი სიმინდი, დღეს, როდესაც სენაკში ფუთი 45 კაპეიკია. ამაზე უსაძაგლესი მევახშეობა-ღა იქნება, მკითხველო? თუ რამდენად შევიწროებულია ჩვენი გლეხი, ეს პატარა ფაქტიც ცხად ჰყოფს: ერთს ჩემს ნაცნობს გლეხს დასჭირდა მანეთ-ნახევარი და ამ მანეთ-ნახევრისთვის ხუთის თუმნის თამასუქი ჩააბარა ერთ კაცს. ვინ იცის, რამდენად დაუჯდება ეს მანეთ-ნახევარი?!

ახლა ისიც იქონიეთ მხედველობაში, როგორ ულმერთოდ ატყუებენ ვაჭარ-ჩარჩნი ხალხს. ერთს ჩემს ნაცნობს ას-ოცი ფუთი სიმინდი მიეტანა გასასყიდად; ვაჭრის მიერ აწონვის შემდეგ აღმოჩნდა 120 ფუთის მაგიერ 104 ფუთი! ჩარჩებს „უსკიდკოდ“ სიმინდის აწონვა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნიათ; ეს ცხადი წართმევაა, ჩუმი, უჩინარი—კიდევ სხვაა. ამ გზით ჩარჩი სუქდება, იძენს ბატონ აშორდიას და ამხანაგობის წყალობით „კეთილ-შობილების“ პატივს, დიდებას, მუშა კი...

როდესაც ერთს მთიულ მეგრელს ვკითხე, სიმინდი საზოგადოდ ყველას სამყოფი არ მოგდით-მეთქი? პასუხად მომიგო: „შე კურთხეულის შვილო, სიმინდი სამყოფი რომ მოგვდიოდეს, მეტი რაღა გვინდა? არამც თუ წრეულს, საზოგადოდ ჩვენს სოფელში მცხოვრებთა მესამედს თუ მოსდის სამყოფი სიმინდი, დიდი ღვთის წყალობაა!“ ისეთის სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა ესა, რომ ყოველი ეჭვი მისი სიტყვების სინამდვილეში გამეფანტა..

ამისთანა სიღარიბე ჩვენებურ გლეხისა, მეორეს მხრივ, აიხსნება იმით, რომ არავითარი ცოდნა მიწის შემუშავებისა არა აქვს: ისევ ის მამაპაპეული კავი, ისევ ის ძვალტყავად ქცეული ხარები, ისევ ის ერთ და იმავე ადგილზე სიმინდის თესვა, მიწის ურწყველობა და სხვა-და-სხვა. ამას ზედ დაურთეთ კრედიტის უქონლობაც, რის გამოც მევახშეობა ძალიან გავრცელებულია: $24^0/_0$—$30^0/_0$ ჩვენში ჩვეულებრივია. მევახშეთა წინააღმდეგ საქმეებით აქაური სასამართლოები სავსეა.

ჭამუთ-ბეი

ხანშიაც იმდენად გაუვარჯიშებია, რომ ვერც კი შეატყობ ნაკლულევანებას. ძლიერ სასიამოვნოა, რომ ამ ყმაწვილს შრომა ეტყობა: თავისი როლი ყოველთვის კარგად იცის და ზოგიერთებსავით „ადხარების დოცვის“ სიტყვებს არ იმეორებს. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ივანიძე (არინა ვლასიევნა); იმედაშვილმა (შმაგა) ცოცხლად დაგვისურათა ბახუსის მოტრფიალე მსახიობი: ქ-ნი ტასო აბაშიძე ისეთი ვერ იყო, როგორც საზოგადოდ: რაღაც უგუნებობა ეტყობოდა; ამის მიზეზი იქნებ ის იყო, რომ თავის ნიჭის შესაფერი როლი არა ჰქონდა. ანსამბლისათვის მაინც-და-მაინც არც დანარჩენებს შეუშლიათ ხელი. ბ-ნს ქორიძეს გურჩევ თავისუფალ მოძრაობას; ბ-ნს ნემსო—მკაფიოდ, გარკვევით ლაპარაკს; ბ-ნს იმერიძეს—სცენაზე ნუ დარბის, როდესაც სირბილი არაა საჭირო; ბ-ნს მირიანაშვილს—ისეთ როლებს მოჰკიდოს ხელი, რომლის შესრულებაც შეუძლიან. საზოგადოთ ყველა ჩვენს არტისტებს კი—როლების ხეირიანათ დასწავლას, რომ სუფლიორს არ მისჩერებოდნენ პირში.

დასასრულ მსახიობთა ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით პიესის თარგმანს, რომელიც მართლ წერის მხრით ძლიერ კოჭლობს. ხშირად შეჰხვდებით ასეთ დამახინჯებულ ქართულ წინადადებებს და სიტყვებს: აიშალა მონასტერი, ჩაუცვია, უნახია და სხვა მრავალი. სხვაგან არსად გვესმის წმინდა ქართული ენა და სცენაზე მაინც ვეცადოთ მის შეურყვნელად დაცვას.

დონ-ვალიანი

წერილი ლეჩხუმიდან

როდის ვეღირსებით სამკლასიან სასწავლებელს?—სამხედრო ბეგარა.—ქურდ-ბაცაცები.

მთავრობამ გადასწყვიტა 'დაარსდეს ლეჩხუმში სამ-კლასიანი სასწავლებელი იმ პირობით, რომ მცხოვრებთაც შეძლებისდაგვარად შემწეობა აღმოუჩინონ ამ სასწავლებელს. ყველანი აღტაცებით მიეგებნენ ამ სასარგებლო საქმეს, მაგრამ საქმემ დიდი კამათი და დასობა გამოიწვია, რის გამოც სასწავლებელს ვერ ვეღირსეთ და ვერა. ცაგერის მომხრეებს უნდათ, რომ ზემოხსენებული სკოლა ცაგერში დაარსდეს. ამის წინააღმდეგია ორი და სამი წილი ლეჩხუმისა. ნეტა ცაგერში რაც არის დაარსებული (მაზრის სასამართლო), ისიც არ იყოს, თორემ ამაზე როგორ დავეთანხმებითო—ამბობენ ისინი. ამა მიზეზისა გამო ეს კეთილი აქმე შეჩერებულია. კარგი იქმნება მთავრობამ დანიშნოს კომისია და დაავალოს საუკეთესო ადგილის მოძებნა ამ სკოლის შენობის ასაგებად. თორემ საზოგადოება კამათსა და დასობას ვერ გაათავებს და სკოლაც ვერ დაარსდება.

ლეჩხუმში გათავდა ჯარის-კაცთა გაწვევა. ვისაც არავითარი შეღავათი არა აქვს, არ გამოცხადდნენ და დაქეიფობენ არხეინად. ხოლო შეღავათიანები წაყვანილ იქმნენ.

ქურდობის სენი ლეჩხუმშიაც მტკიცედ იკიდებს ფეხს. უშიშრად შედიან სახლში ღამის ქურდ-ბაცები და იპარავენ ცხენისა და კაცის სამკაულებს. ეს-და აკლდა საბრალო ლეჩხუმს!

დ. დბვდაშვლან-ვილან-ზვანი

წერილი კახეთიდან

ამინდი.—ქურდობა.

ნოემბრის პირველ რიცხვებამდე მთელ კახეთში მშვენიერი ამინდი იდგა. მზიანმა დღეებმა გააშრო დედამიწა, რამაც ძლიერ დააბრკოლა პურის თესვა. როგორც იყო დახნეს მიწები, მაგრამ დათესვა-კი უმრავლესობამ ვერ მოასწრო, რადგანაც ნახნავი გაიფიტა და სისველე გამოეცალა. 5 ნოემბრიდან ავდარი დაიწყო, მაგრამ ისეთი მკაცრი სიცივეები დაიჭირა, რომ მიწა გაჰყინა. დათეს-დაფარცხვა შეუძლებელი გახდა, ყველას ეგონა, ეს არის ზამთარი დაიწყო და დავრჩით ასე უთესველებიო, მაგრამ მალე ისევ ამინდი შეიცვალა, დაიჭირა თბილი დღეები და დედამიწაც მოლხვა. ყველა მინდვრებისაკენ გაეშურა სათესად და მოხნული მიწები სულ დაითესა. 5 დეკემბერს დაიწყო თოვა, მთელი თელავის მაზრა თეთრად შეიმოსა, რომელიც ძლიერ არგებს ახლად დათესილ-დაფარცხულ მიწებს. მართალია, ამინდი ჯერ-ჯერობით ხელს უწყობს კახეთს, მაგრამ ამ ქურდობამ და ერთმანეთის მტრობამ დიდად შეუშალა ხელი იმის კეთილდღეობას. ქურდობა უფრო გახშირებულია საქონლისა, რადგან ამას უფრო ადვილად ჰმალავენ. ამისთვის მომუშავე საქონელი გაბედვით ვერავის უუდნია, გაბედვით ვერვის დაუბამს გომებში თუ ყარაულად არ დაუდგა, რომ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა არ წაასხან. მერე ისე დახელოვნდნენ ამ საქმეში, რომ სპეციალისტები დაჰხდნენ. თუ ჩაიგდეს რამე ხელში, მშვიდობით, უნდა გამოეთხოვოს პატრონი. ძნელად-ღა დააღწევს ხელიდან თუ კვალი არ მიაგნო, ამდენიმე კვირა არ მოსცდა და ორი დაკარგულის ოდენა სადირალი არ დახარჯა. ქურდობენ როგორც სოფლებსა, ისე ქალაქში, როგორც შინ, ისე გარედ: 16 ნოემბერს, თელავში, მიკიტნის ეზოდან გაიყვანეს ერთის ქიზიყელის ცხენი თავისის შეკაზმულობით. იმავე ღამეს თელავში მცხოვრებ ამრუზაშვილს მოჰპარეს ორი ძროხა. ამას წინად ს. რუისპირში თავ. მაყაშვილს მოჰპარეს ორი საუკეთესო ცხენი. რასაკვირველია, ბევრი ეძებეს, ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მერე ერთი ცხენი ვარდის-უბნის ბოლოს ენახათ გაშვებული. ალბად, წაყვანა ვეღარ მოასწრეს. ეს მსხვილი ქურდობა. ქათამ-ინდოურის და სხვა სანოვაგის ქურდობაც ხომ ყოველ სოფელში ერთობ ხშირია. ქურდობის გარდა ზოგ სოფელში ერთმანეთის მტრობით საბძლების გადაწვაც ხშირად ხდება.

—**ლი.**

დაბა-სოფლები

ლახუნდარი (ლეჩხუმი). ამ სოფელში ლაიდაშელმა ვაჭარმა ამას წინად დუქანი გახსნა. ყველაფერს მამასისხლად ჰყიდის ეს ვაჭარი. 9 კაპეიკიან ჩითს ჰყიდის 15 კ., სამ-შაურიანს ფანელს 25 კ., ანუ მეტად; გირვანქა შაქარს 25 კ., როდესაც ს. ჩოლურში, რომელიც ჩვენის საზოგადოებიდან 15 ვერსის მანძილზედა სძევს, გირვანქა შაქარს ჰყიდის 20 კ., ორი კაპეიკიან ჩაის—შაურად, ორ კაპეიკიანს პაპიროსის ქაღალდს—5 კ., თამბაქოს შაურიანს—ორ-შაურად, გირვანქა კარტოფილის სანთელს — ორ აბაზად, გირვანქა ნავთს—ორ-შაურად, გირვანქა ყირიმის პურს—ორ-შაურად, გირვანქა უბრალო ლურსმანს—40 კ. და სხვა-და-სხვა. ღვინოს მაინც-და-მაინც ძვირად არა ჰყიდის, მაგრამ თუ შეატყო უფხიზლობა, წყალსაც კარგად ჩაგირევს.—ღვინით ვაჭრობის ნება აქვს თუ არა, ეს ალლაჰმა უწყის!

ნუ თუ სოფელს არ შეუძლიან აღკვეთოს ვაჭრის ასეთი თავ-გასულობა?

რჭ—ლი

ზესტაფონი (იმერეთი). ამას წინად ვწერდით, რომ ყვირილის სადგურზე აუარებელი საქონელი იკარგებაო. ამ საქმის გამო ზოგნი დააპატიმრეს კიდეც. გამოძიებას შეუდგნენ და ამ ორის დღის წინად ექვსი კაცი კიდევ დააპატიმრეს და უნახეს ნაქურდალი საქონელი. ერთი ქურდი პოლიციას გაექცა. ამ საქმის გამო მოვიდა ქუთაისიდან ბრალმდებელი და ჟანდარმის პოლკოვნიკი. სჩხრეკავენ ვაჭრების დუქნებს. გუშინდამ კიდევ გასტეხეს ვაგონი და გაიტანეს საქონელი...

№

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 დეკემბერი

კარაკასი. კასტრო მოკავშირეთა თანახმაა რუზველტი მედიატორეთ მოსამართლედ იქმნეს არჩეული.

რომი. მარკონი დეპეშით ატყობინებს „სტეფანის სააგენტო“-ს, რომ მან სავსებით მოაწყო ატლანტის ოკეანეზე უმავთულო ტელეგრაფის მუშაობა.

10 დეკემბერი

ასხაბადი. მიწის ძვრა დღითი-დღე ძლიერდება. მიწის ძვრა 200 ვერსის მანძილზე არის. რუსები გაიხიზნენ სადგურზე, სადაც ვაგონებში დაბინავდნენ. ამ მხრის უფროსის გენერალ იგანოვისა და რკინის გზის უფროსის მოადგილის თაოსნობით მოაწყეს დროებითი ბარაკები და კარვები; მთავრობის დაწესებულებანი ვაგონებში მოათავსეს. ჯარები გულმოდგინედ თხრიან ნანგრევებს. დაღუპულთა რიცხვი 4,000 სულამდეა; ქალაქის მკვიდრთა ნაწილში 800 გვამი ამოთხარეს. საზრდო მუქთად დასარიგებლად გამართეს სამზარეულოები. ანდიჟანში გაიგზავნა მრავალი მუშა მისაშველებლად. ვისაც ჰსურს ანდიჟანში წასვლა დასახმარებლად, ან შეწირულების გაგზავნა, რკინის გზით უფასოდ გადაიყვანენ. შემოწირულება ჯერ-ჯერობით ცოტა მოდის. ხაზინა, სადაც 5 მილიონი მანეთი ინახებოდა, დაინგრა. ხაზინის ნანგრევებს თხრიან სახაზინო პალატის გამგის ზედამხედველობით. ჭებში წყალი გაჰქრა. შიშობენ, რომ ნიადაგი დაიწევს.

ბელგრადი. მეფე სთქვა, რომ მისის აზრით, ჯერ საფუძველი არ არის აღიძრას კითხვა ტახტის მემკვიდრის შესახებ; ხოლო, როდესაც ეს საჭირო იქმნება, მეფე თითონ გადასწყვეტს ამ კითხვას ხალხის თანხმობით.

ყაზანი. საერობო კრებამ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო, რომ უმთავრესი საჭიროებანი საერობო მეურნეობისა დაკმაყოფილებულ იქმნას სესხით იმ თანხიდან, რომელიც შესდგება საერობო დაზღვევისაგან. ამ დადგენილების წყალობით შესაძლებელი იქმნება სასურველად მოეწყოს სახალხო განათლებისა და მკურნალობის საქმეები.

ლონდონი. როგორც შანსიდან იუწყებიან, ტუნფუსიანი სალაშქროდ ემზადება. ტუნფუსიანს საქმე პრინც ტუანთან უჭირავს, რომელიც განსუს პროვინციაშია. ტუნფუსიანი ჰფიქრობს ამოსწყვიტოს უცხო ქვეყნელნი ნანსისა და განსის პროვინციებში და აიღოს შანსის დედა-ქალაქი. განსის ჩინელ-მოხელენი ურჩევენ უცხო ქვეყნელთ წავიდნენ პროვინციიდან.

გრაცი. გადაიცვალა კრაფტ-ებინგი.

რომი. იტალია ხვალ გადასცემს შეერთებულ შტატებს ნოტას რუზველტის შუამავლობის შესახებ ვენესუელის საქმეში. ნოტა გერმანიისა და ინგლისის პასუხის თანახმად არის შედგენილი. ინგლისი და გერმანია ხვალ წარუდგენენ ნოტებს.

პარიჟი. ჰანოტომ წამოაყენა თავისი კანდიდატურა სენატში.

ათინა. პარლამენტი გაიხსნა.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია, რომ 8 დეკემბერს სევასტოპოლში ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა შავის ზღვის ფლოტის ზღვაოსანნი და ყაზარმები მე-32, 35 და 36 ეკიპაჟისა. როდესაც ახლად გაწვეულთ ჩაუარა, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: „**იმსახურეთ ისეთი ერთგულად და პატიოსნად, როგორც თქვენი მამანი და პაპანი იმსახურებოდნენ შავის ზღვის ფლოტში ცარსა და ჩვენ ძვირფასს სამშობლოს. მაღლა დაიჭირეთ სახელი და დიდება ჩვენის დიდებულის ანდრიევის დროშისა. მშვიდობით, ძმანო**“. 3½ საათზე მისი უდიდებულესობა უკანვე „შტანდარტზე“ წაბრძანდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყოჩაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

ვ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყოჩაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 წ. 28 წ.).

განცხადებანი

იყიდება

ვერაზე, ხევს იქით 300 კვად. საჟენი

მიწა.

იკითხეთ მე-9 ნაწ. კრასნოგორსკისა და ოსიფოვის ვიწრო ქუჩა, ხატიევის სახლი № 7. (4—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—76)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზე ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . . 15 მ.
Riparia gloire de montpellier . . . . 10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისთვის. 30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris monticola 1000 მეტრი . . 5 „
Riparia gloire de Montpellier . . . . 3 „
Berlandieri . . . . , . . . 15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову. (10—467—3)

ГОДЪ ИЗДАНІЯ XXI

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ

карской области

Открыта Подписка

НА ГАЗЕТУ

„Карсъ“

на 1903 годъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою и пересылкою 3 рубля въ годъ.

Подписка принимается въ Редакціи газеты „КАРСЪ“, въ гор. Карсѣ, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карской области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. (Ѳ. 3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

на 12 мѣсяцевъ	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ	4 р. — к.
„ 11 „	6 „ 50 „	„ 5 „	3 „ 50 „
„ 10 „	6 „ — „	„ 4 „	3 „ — „
„ 9 „	5 „ 50 „	„ 3 „	2 „ 50 „
„ 8 „	5 „ — „	„ 2 „	2 „ — „
„ 7 „	4 „ 50 „	„ 1 „	1 „ — „

За границу: на годъ 14 р., на полгода 8 р., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3. р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ— 15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе однаго раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петнти), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скида. (3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 10 декабря 1902 г.

რედაქტორობის სტამბა 'წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).